ევროკავშირი საქართველოსთვის
Project funded by the European Union

GEORGIA FinExCoop

AFD AGENCE FRANÇAISE DE DÉVELOPPEMENT

# „FinExCoop“ საქართველოს რიგით მეორე, საერთაშორისო, აგრობიზნეს ფორუმი

ონლაინ ფორუმი
**საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროსთან (MEPA) და სოფლის განვითარების სააგენტოსთან (RDA)** კოლაბორაციით.

“ვაშლის ღირებულებათა ჯაჭვის ახლანდელი მდგომარეობა და პერსპექტივები საქართველოში.
ვიფიქროთ და ვიმოქმედოთ ერთად”
**9-10** ივნისი **2022**

ძვირფასო xxxx,

4-წლიანი პროექტი „ფინანსები, გაფართოება და კოოპერატივების განვითარება ქართველი ფერმერებისთვის“ (FinExCoop საქართველო) დაფინანსებულია ევროკავშირის მიერ (EU)NIF პროგრამის ფარგლებში. FinExCoop-ს მართავს საფრანგეთის განვითარების სააგენტო (AFD) და მას ახორციელებს, ფრანკფურტის ფინანსთა და მენეჯმენტის სკოლა, მერსი ქორფსის (Mercy Corps), ასოციაცია სამხარეო განვითარება მომავალი საქართველოსთვის (RDFG) და Chambre Agriculture de Loiret-ის პარტნიორობით.

FinExCoop საქართველოს მთავარი მიზანია, ხელი შეუწყოს მცირე და საშუალო საოჯახო მეურნეობების წარმოქმნას, რომლებიც იქნებიან კონკურენტუნარიანი შემდეგი გარემოებების წყალობით:

- საკრედიტო და სხვა ფინანსურ მომსახურებაზე გაუმჯობესებული წვდომა, დაზღვევის ჩათვლით. (Fin როგორც ფინანსები)
- მაღალი პროდუქტიულობა, რომელიც დაკავშირებულია უკეთეს ტექნიკურ ცოდნასთან და აღჭურვილობების სწორად და უკეთ გამოყენებასთან. (Ex როგორც გაფართოება)
- მათი თანამონაწილეობა ბაზარზე ორიენტირებულ კოოპერატივებთან ან ნებისმიერ სხვა ერთეულთან, რომლებიც ხელს შეუწყობენ მათ კოორდინაციას, ტექნიკური აღჭურვილობების ხელმისაწვდომობასთან, მათი პროდუქტიულობის და ღირებულებების გაზრდასთან, უკეთესი შენახვის პირობების, დამუშავების და მარკეტინგის გზით. (Coop როგორც კოოპერატივები).

FinExCoop საქართველოს პროექტ-ის ამოქმედებამდე, ვაშლის სექტორი უკვე დიდწილად მხარდაჭერილი იყო MEPA/RDA-ს მიერ. მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს გააჩნია უნიკალური აგრონომიული პოტენციალი მაღალი ხარისხის ვაშლის წარმოებისთვის, როგორც ტრადიციული ადგილობრივი ჯიშებით, ასევე იმპორტირებული ვაშლით, ქართული მოსავლიანობის მაჩვენებელი დაბალია რეგიონალური სტანდარტების მიხედვით. მთავარი მიზეზი, რის გამოც თანამედროვე ინვესტიციებმა არ გამოიწვია მოსავლიანობის მკვეთრი ზრდა და ასევე პროდუქციის უფრო მაღალი მოცულობა და ხარისხი, არის ხილის სექტორში კვალიფიციური კადრების ნაკლებობა და ცოდნა იმისა, რომ თანამედროვე ინტენსიური ბაღების მართვა საკმაოდ რთულია. სწორედ ამიტომ, FinExCoop-ი ძირითადად ორიენტირებულია ადგილობრივი შესაძლებლობების განახლებაზე. 2021 წლის ბოლოსთვის ვაშლის წამყვანი ექსპერტის, მარკ ლანსიენის მიერ ჩატარდა 34 ტრენინგი 432 მონაწილისთვის, რომლის შედეგებიც ნამდვილად შთამბეჭდავია. პარალელურად, FinExCoop იწყებს სასწავლო

Frankfurt School of Finance & Management
German Excellence. Global Relevance.
MERCY CORPS
RDFG for better future
AGRICULTURES & TERRITOIRES CHAMBRES D'AGRICULTURE FRANCE

ევროკავშირი საქართველოსთვის
Project funded by the European Union
GEORGIA FinExCoop
AFD AGENCE FRANÇAISE DE DÉVELOPPEMENT

ტრენინგს საფრანგეთში, სადაც ორი ახალგაზრდა ფერმერი გაატარებს სამ თვეს საუკეთესო ფრანგულ ბაღებში. და ბოლოს, იგი ეფუძნება ამ დროის განმავლობაში ფერმერებთან დაგროვილ ნდობას მათ საქმიანობაში, რადგან მოეწყოს საველე კოოპერატივები მავნებლების სწორად მართვისთვის. საბოლოო ჯამში, ის მიზნად ისახავს შექმნას მეორე დონის კოოპერატივი ეროვნულ დონეზე, რომელიც პირველ რიგში ორიენტირებული იქნება მაღალი ხარისხის ქართული ხილის მარკეტინგსა და ექსპორტზე.

FinExCoop-ი 2022 წლის 9-10 ივნისს, გამართავს ონლაინ ფორუმს სახელწოდებით **„ვაშლის ღირებულებათა ჯაჭვის ახლანდელი მდგომარეობა და პერსპექტივები საქართველოში“** რადგან მოხდეს საქართველოში ვაშლის ღირებულებათა ჯაჭვის მომავალი პერსპექტივების განხილვა. **ონლაინ ფორუმი** მიზნად ისახავს შეკრიბოს ამ სფეროში ჩართული ძირითადი დაინტერესებული მხარეები, სხვადასხვა ორგანიზაციები, ე.წ. off-taker-ები, აღჭურვილობების მომწოდებლები, რადგან **ერთად ვიფიქროთ და ვიმოქმედოთ** საქართველოში ვაშლის ღირებულებათა ჯაჭვის მოდერნიზაციისთვის.

ამ მხრივ, ჩვენთვის დიდი პატივი იქნება თუ თქვენ, შემოგვიერთდებით მეორე პანელში: „ გარემოს გაუმჯობესება ინვესტიციებისთვის, საქართველოში ვაშლის თანამედროვე ღირებულებათა ჯაჭვის სფეროში“ როგორც პანელის სპიკერი, ღონისძიების დროს. ჩვენ დარწმუნებულნი ვართ, რომ თქვენი გამოცდილება, საინტერესო იქნება მონაწილეთათვის და წვლილს შეიტანს ღონისძიების წარმატებაში.

ველით თქვენთან შეხვედრას ვებინარზე.

გულწრფელად თქვენი,

FinExCoop-ის გუნდი

Frankfurt School of Finance & Management
German Excellence. Global Relevance.
MERCY CORPS
RDFG for better future
AGRICULTURES & TERRITOIRES CHAMBRES D'AGRICULTURE FRANCE

## დღის წესრიგი

## FinExCoop" საქართველოს რიგით მეორე, საერთაშორისო, აგრობიზნეს ფორუმი

### *9 ივნისი, 2022 | დღე პირველი: ონლაინ ფორუმი*

**10:00-11:20: პლენუმის გახსნა. ზოგადი გარემო**

მოდერატორი: ჯანსუ კარატი, **FinExCoop** პროექტის დირექტორი, **FinExCoop საქართველო**

- **გიორგი ხანიშვილი** -მინისტრის პირველი მოადგილე, **საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო**, "მისასალმებელი სიტყვა, *საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო–ს სტრატეგია ვაშლის ღირებულებათა ჯაჭვის მხარდასაჭერად"* (20 წთ)

- **ჟორჟ დეუ,** პროგრამის მენეჯერი, **ევროკავშირის დელეგაცია საქართველოში**, „ევროკავშირი და სოფლის მეურნეობის სექტორი საქართველოში. *წარსული, აწმყო და თანამშრომლობისა და განვითარების პერსპექტივები"* (10 წთ)
- **რაფაელ ჟოზან,** სამხრეთ კავკასიის რეგიონალური ოფისის დირექტორი, **საფრანგეთის განვითარების სააგენტო**. *"საფრანგეთის განვითარების სააგენტოს სტრატეგიული ვალდებულება სოფლის მეურნეობის მიმართ საქართველოში"* (10 წთ)
- **ხავიერ სან ალვარეჰ,** პროგრამის კოორდინატორი, **FAO ENPARD**, „*FAO ENPARD და ვაშლის სექტორი საქართველოში"*(10 წთ)
- **კრისტოფ კორდონიე,** ჯგუფის ხელმძღვანელი, **FinExCoop საქართველო,** *"ვაშლის ღირებულებათა ჯაჭვი საქართველოში: განვითარების რა პოტენციალი არსებობს?"*(20 წთ)
- **კითხვა-პასუხი -10 წუთი**

**11:20-11:30 შესვენება**

**11:30-12:30: მეორე პლენუმი / გარემოს გაუმჯობესება ინვესტიციებისთვის, საქართველოში ვაშლის თანამედროვე ღირებულებათა ჯაჭვის სფეროში "**

მოდერატორი: **კატერინა პობერეჟნა**, აგრობიზნესის პროექტის მენეჯერი, **EBRD**

- **გიორგი მიშელაძე, სსიპ მიწის მდგრადი მართვისა და მონიტორინგის ეროვნული სააგენტოს** თავმჯდომარე, საქართველო, *„მიწაზე უკეთესი ხელმისაწვდომობა ხეხილის ბაღებისთვის - მიწის რეგისტრაციისა და მართვის ახალი პროგრამა საქართველოში" (10 წთ)*
- **რომან ვიდალი,** პროექტის ხელმძღვანელი, **BRL Ingénierie,** *„უკეთესი ხელმისაწვდომობა ირიგაციის და წყლის სერვისებზე საქართველოში. BRLI-ს მიერ განხორციელებული AFD პროგრამების წვლილი"*(10წთ)

- **ლაშა შალამბერიძე,** სოფლის განვითარების სააგენტოს რეგიონებთან ურთიერთობის დეპარტამენტის უფროსი, **სოფლის განვითარების სააგენტო** *„უკეთესი ხელმისაწვდომობა მაღალი ხარისხის სამუშაო ძალაზე ინტენსიური და ინოვაციური ბაღებისთვის“ (10წთ)*
- **ხავიერ ჟერარდი,** აგრონომიული გარემოს დაცვის დეპარტამენტის უფროსი, **Chambre d'Agriculture du Loiret,** (CAL), *„CAL-ის გამოცდილება ვაშლის ბაღების გაფართოების სერვისებში“*(10წთ)
- **ლაშა შალამბერიძე,** სოფლის განვითარების სააგენტოს რეგიონებთან ურთიერთობის დეპარტამენტის უფროსი, **სოფლის განვითარების სააგენტო**, *"საქართველოს მთავრობის ფინანსური მხარდაჭერის პროგრამები ვაშლის ღირებულებათა ჯაჭვით დაინტერესებული მხარეებისთვის „* (10 წუთი)
- **კაროლინ ბუკე,** ფინანსური ექსპერტი, **LDN Mirova**, **„***LDN Mirova და საქართველოში ხეხილის ბაღების გრძელვადიანი დაფინანსების პოტენციალი“* (10 წთ)

**12:30 - 12:35 | ვიდეოფილმი და FinExCoop-ის პილოტი ფერმერების ჩვენებები ვაშლის ღირებულებათა ჯაჭვში, „მთავარი გამოწვევები, რომლებსაც აწყდებიან მოწინავე ფერმერები საქართველოში, ვაშლის სექტორში“**

**12:35 - 13:05 | მესამე პლენუმი: : FinExCoop -ის სტრატეგიული სამუშაოები ვაშლის ღირებულებათა ჯაჭვის სექტორში.**

**მოდერატორი: ირაკლი ხეროდინაშვილი,** ჯგუფის ხელმძღვანელის მოადგილე, **FinExCoop საქართველო**

- **გიორგი ღვინიაშვილი, გარნეთის მეურნეობა,** გორის მუნიციპალიტეტი სოფ. ფხვენისი *„ფერმერების გამოცდილება FinExCoop-თან, ბაღების მართვაში“*(10 წთ)
- **ირაკლი ესართია,** ფერმერი გორის მუნიციპალიტეტიდან, სოფ. სახაშერი, *„FinExCoop-ის ტექნიკური დახმარება დაავადების მართვისას"* (10 წთ)
- **მარკ ლანსიენი**, საერთაშორისო ექსპერტი ვაშლის სფეროში, FinExCoop, "FinExCoop მეთოდოლოგია და მოლოდინი" (10 წთ)

**13:05 - 13:10 | ფორუმის პირველი დღის დასასრული, დასკვნები**

## 10 ივნისი, 2022 | *დღე მეორე : ონლაინ ფორუმი*

**10:00 - 11:00 | მეოთხე პლენუმი: ქართული ვაშლის წარმოება, ევროკავშირის მწვანე შეთანხმების საფუძველზე, საუკეთესო სტანდარტებით.**

**მოდერატორი : ჟორჟ დეუ,** პროგრამის მენეჯერი, **ევროკავშირის დელეგაცია საქართველოში,**

- **გორდონ ჟან-რენე,** დირექტორი **Dalival,** "*ვაშლის ახალი ჯიშები ინოვაციური ბაზრისთვის: ფრანგული გლობალური ლიდერის დალივალის კავკასიური გამოცდილება*" (10 წთ)
- **ზვიად ბობოკაშვილი,** კათედრის გამგე დოქ. **სოფლის მეურნეობის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის მებაღეობისა და მევენახეობის კვლევის დეპარტამენტი** "*ქართული*

*ვაშლის ბიომრავალფეროვნება: სტრატეგიული აქტივები, რომელიც სრულად უნდა იყოს მობილიზებული მწვანე სოფლის მეურნეობაში"* (10 წთ)

- **ანა შეველევა, ATIS საქართველოს,** თანადამფუძნებელი და მმართველი დირექტორი *"ციფრული ტექნოლოგიები, საქართველოში სოფლის მეურნეობის, გარემოსდაცვითი და ეკონომიკური განზომილებების გასაუმჯობესებლად"* (10 წთ)
- **დავიდ ბერტრანდი,** CEO, **Axatya Investment,** *"ორგანული სიდრის განვითარების პილოტირება საქართველოში, კერძოდ ლაგოდეხში"* (10 mn)
- **გიორგი ხუროშვილი,** უმცროსი აგრონომი და FinexCoop სტაჟიორი, **FinExCoop,** "თანამედროვე ვაშლის წარმოების საუკეთესო გარემოსდაცვითი პრაქტიკის შესწავლა, ფრანგულ ბაღებში" (5 წთ)
- **გიორგი მჭედლიშვილი,** დამოუკიდებელი აგრონომი და FinexCoop სტაჟიორი, FinexCoop **FinExCoop,** ""თანამედროვე ვაშლის წარმოების საუკეთესო გარემოსდაცვითი პრაქტიკის შესწავლა, ფრანგულ ბაღში, *Les vergers du Léard*" (5 წთ)

- **კითხვა-პასუხი -10 წუთი**

**11:00 - 11:10 შესვენება**

## 11:10 - 12:20 | მეხუთე პლენუმი: მეტი ღირებულების ჩადება ქართულ ვაშლში

**მოდერატორი: ხავიერ სან ალვარეზ,** პროგრამის კოორდინატორი, **FAO ENPARD**

- **ზურაბ გოჯიაშვილი,** ფერმერი **გორის მუნიციპალიტეტიდან,** სოფ. კვარხეთი, *"თანმიმდევრული ღირებულებათა ჯაჭვის აგება, ვაშლის ფერმერიდან საბოლოო მომხმარებლამდე: Tirifon ბაღის ქართული* (10 წთ)
- **ჟაკ ჟული, Blue Whale,** *"ფერმერების შეკრება საუკეთესო მარკეტინგულ კომპანიაში:* ***Blue Whale*** *-ის გამოცდილება საფრანგეთში"* (10 წთ)
- **ჟერომ აკელი,** CEO, **Carrefour-MAF Georgia,** *"Carrefour-Majid Al-Futtaim-ის ვაშლის შესყიდვის სტრატეგია საქართველოში და MAF-ის მოქმედ ქვეყნებში"* (10 წთ)
- **ფაბიენ მარტელი,** დირექტორი, **Eco Fruit Conseil,** "ქართველი კომპეტიტორების მარკეტინგული სტრატეგიები ვაშლის სექტორში, აბრეშუმის გზის რეგიონში (ჩინეთი, უზბეკეთი, (10 წთ)
- **ვანო გოგლიძე,** დირექტორი **Kula Apple Processing Company,** *"ხილის ხარისხიანი გადამუშავების მდგომარეობა და პერსპექტივები საქართველოში"* (10 წთ)

- **კითხვა-პასუხი -10 წუთი**

## 12:20 – 12:35 | საბოლოო შენიშვნები: რა შეგვიძლია გავაუმჯობესოთ?

მოდერატორი: **კრისტოფ კორდონიე,** ჯგუფის ლიდერი, FinExCoop საქართველო

- **წარმომადგენელი AFD (5წთ)**
- **წარმომადგენელი EUD (5წთ)**
- **წარმომადგენელი MEPA (5წთ)**

## *10 ივნისი, 2022| დღე მეორე : საველე ვიზიტი*

**14:00 - 15:00-** FinExCoop მოაწყობს საველე ვიზიტს შიდა ქართლის რეგიონში, გორის მუნიციპალიტეტში, ერთ-ერთ მეტეო სადგურზე. ვიზიტი **სოფელ სკრაში, ბატონი მირიან ოქროშიაშვილის** ვაშლის ბაღში გაიმართება. საველე ვიზიტი მიეძღვნება ვაშლის ბაღის მინდვრებს, მეტეო სადგურს და ვაშლის მარკეტინგს შიდა ქართლში და ასევე კოოპერატივის მომავალ განვითარებას, რომელიც გამოიყენებს ევროკავშირის საუკეთესო პრაქტიკას მავნებლების მართვაში. საველე ვიზიტი შესანიშნავი შესაძლებლობა იქნება საქართველოს მთავრობის წარმომადგენლებისთვის, საერთაშორისო პარტნიორებისთვის (ელჩები, განვითარების ინსტიტუტების ხელმძღვანელები) და სხვა ძირითადი დაინტერესებული მხარეებისთვის გაეცნონ საქართველოს ბაღების პროგრესს სტრატეგიულ სფეროში.

